გამოიცა ივანე ჯავახიშვილის ალბომი – „მასალები ძველი ქართული სამართლისა და ეკონომიკის ტერმინოლოგიისთვის“

ალბომში შესულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივანეჯავახიშვილის პირადი საარქივო ფონდის ის მასალა, რომელიც მოიცავს ძველი სამართლის, საეკლესიო სამართლის დაეკონომიკის ტერმინებს. აღნიშნული მასალა აქამდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. ტერმინები შედგენილია ივანეჯავახიშვილის მიერ ისტორიულ საბუთებზე, წყაროებზე და ხელნაწერებზე დაყრდნობით. თითოეული ტერმინი დაწერილიაცალკეულ ბარათზე, წყაროს მითითებით. ალბომში შესულია 1845-მდე ტერმინი,
რომლებიც დალაგებულია ანბანზე დამითითებული აქვს საარქივო ერთეულის ნომერი. ეს არის არქივის ნაწილის პუბლიკაცია იმ სახით, როგორც ის დაცულია ივანეჯავახიშვილის პირად საარქივო ფონდში.
აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში, მსგავსი ტერმინების რაოდენობა გაცილებით მეტია,
მაგრამ ალბომშიშესულია მხოლოდ ის ბარათები, რომელიც უშუალოდ დიდი მეცნიერის ხელითაა დაწერილი.
არსებული ალბომი მკვლევრებს გაუადვილებს ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში დაცულ მასალაზე წვდომას და ხელსშეუწყობს ძველი სამართლისა და ეკონომიკის ტერმინებზე მუშაობას. ვფიქრობ,
ასეთი ალბომის გამოცემა სასარგებლოა არამარტო მეცნიერ–მკვლევართათვის,
არამედ დიდი მეცნიერის მოღვაწეობით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.
გამოცემა მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის დაბადებინად 140–ე წლის იუბილეს. პროექტი განხორციელდა ივანე ჯავახიშვილისსახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთაეროვნული ცენტრის მიერ. ალბომის შექმნის იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მალხაზ ბაძაღუა**; ალბომის რედაქტორია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთაეროვნული ცენტრის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზაალ აბაშიძე**; ალბომის შედგენაზე იმუშავესკორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უფროსმა მეცნიერ–თანამშრომელმა **მანუჩარ გუნცაძემ** და მეცნიერ–თანამშრომელმა **შორენა მურუსიძემ**.

ალბომის პრეზენტაცია გაიმართა 2017 წლის 10 იანვარს, 14:00 საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის დარბაზში (პირველ კორპუსი, აუდიტორია №107) .